ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის საქალაქო
სამსახური

KA980198269470216

№16/246412

20 / სექტემბერი / **2016** წ.

შპს,,ეპიკ საბურთალოს" წარმომადგენელი
ალექსანდრე კვირკველია
მაზნიაშვილის ქ. 4

ბატონო ალექსანდრე,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი #331137/12 წერილის პასუხად გაცნობებთ: სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, ალ. ყაზბეგის გამზირზე, ინფექციური საავადმყოფოს მიმდებარედ (საკ. კოდი N01.10.15.022.035) არსებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) გადამოწმებით დადგინდა, რომ სამსახურის 09.09.2016წ. #ბ-249577/12 ბრძანებაში მითითებული დარღვევა ,,შემცირებულია გამწვანების ფართი" გამოსწორებულია (მაგრამ შეიცვალა გამწვანების ფორმა). ასევე გამოსწორებულია ბრძანებაში მითითებული წითელი ხაზების დარღვევა.

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის საქალაქო
სამსახური

KA980181947933016

№16/238428

12 / სექტემბერი / 2016 წ.

შპს ეპიკ საბურთალო. ალექსანდრე კვირკველია,

საქართველო, მაზნიაშვილის ქ. #4

ბატონო ალექსანდრე,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი #249577/12 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანების 1 (ერთი) ეგზემპლარი

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ბ-249577/12

"09" 09 2016წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, ალ. ყაზბეგის გამზირზე, ინფექციური საავადმყოფოს მიმდებარედ (საკ. კოდი №01.10.15.022.035) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2515782 31.03.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, ალ. ყაზბეგის გამზირზე, ინფექციური საავადმყოფოს მიმდებარედ მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

შეცვლილია ვიტრაჟების ნაწილის ნახატი. ფასადებზე შეფრქვეული წებო-ცემენტის ხსნარი. ალუმინის ვიტრაჟების გარშემო დამატებულია შავი ფერის კომპოზიტური მასალა. აივნებზე დამატებულია ლითონის ფურცლები. შემცირებულია გამწვანების ფართი. „ზ-ზ" ღერძის გარეთ დამატებულია კარი.

+0.90 ნიშნულზე „4'-1" მონაკვეთში შეცვლილია კედლის ფორმა. ±0.00 ნიშნულზე „ა-ე" მონაკვეთში შეცვლილია მონოლითური კედლის ფორმა.

„1'-12" ფასადი: დამატებულია წყლის მილები. „1'-1"' ღერძთან დამატებულია კედელი. „1'-5"' მონაკვეთში დამატებულია ჟალუზები. „10-11" მონაკვეთში დამატებულია გამათბობლის ქვებები. „1-11" მონაკვეთში +6.30 ნიშნულზე ფასადი მოპირკეთებულია კომპოზიტური მასალით.

„12-1"' ფასადი: „12-9" მონაკვეთში შეცვლილია ჟალუზების გაბარიტი და გაზრდილია რაოდენობა. გაზრდილია კოლონების გაბარიტი. შეცვლილია ფასადის მოპირკეთება და ფერი. „1-1"' მონაკვეთში შეცვლილია შენობის ძირის ფორმა და გაზრდილია ლითონის გისოსის გაბარიტი.

„ა-ზ" ფასადი: „ე-ზ' მონაკვეთში დამატებულია ჭიშკარი. „ბ-ბ" ღერძთან +35.50 ნიშნულზე გამწოვ შახტაზე დამატებულია ლითონის ფურცელი.

„ზ-ა" ფასადი: შეცვლილია გრუნტის ნიშნული. „გ-ა" მონაკვეთში შეცვლილია კედლის ფორმა. +32.30 ნიშნულზე „ბ-ა" მონაკვეთში შეცვლილია კედლის ფერი.

ბეტონის ბილიკები და კედელი სცდება საკადასტრო წითელ ხაზებს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ეპიკ საბურთალო"-ს, ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, ალ. ყაზბეგის გამზირზე, ინფექციური საავადმყოფოს მიმდებარედ (საკ. კოდი №01.10.15.022.035) მდებარე

შენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №249577/12 12.07.2016წ. განცხადება.

საშახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეგაძე